აღმოსავლეთი და დასავლეთი ახალ და უახლეს ხანაში -
East and West in Modern and Contemporary period

კურსის მიზნია განიხილოს ურთიერთობა ორ სამყაროს შორის: ქრისტიანული, ევროპული ანუ დასავლური სამყარო და აღმოსავლური ანუ ისლამური სამყარო. საკითხები დაჯგუფებულია ორი ძირითადი თემის გარშემო: შეჯახება/კონფლიქტი და მშვიდობიანი თანაარსებობა/დიალოგი.

ისტორიის დიდაქტიკა
History Didactics

სასწავლო კურსის მიზანია სხვადასხვა საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მიზნით ისტორიული ცოდნის, ისტორიული მეცნიერების რედუცირების და ადაპტირების მოდელების შესწავლა; საზოგადოებაში ისტორიული იდეების, განსაზღვრებებისა და წარმოდგენების განვითარების შესახებ უახლესი შედეგების კვლევისა და ინფორმაციის გადაცემის ხერხებისა და მეთოდების შესწავლა.

ისტორიის მეთოდოლოგია
History Methodology

ახალგაზრდა ისტორიკოსის პროფესიული ფორმირების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ ემპირიული მასალის, ფაქტობრივი ისტორიის ზედმიწევნით კარგად ცოდნას, არამედ იმ ახალ იდეებს, რომელიც ამდიდრებს ისტორიულ მეცნიერებას და ისტორიის წერის მეთოდებს. ამგვარი თეორიული კურსი აუცილებელია და ახალგაზრდა ისტორიკოსის პროფესიულ დაოსტატებას დიდად შეუწყობს ხელს. ახალი იდეები და მეთოდები საშუალებას მისცემს ახალგაზრდა ისტორიკოსს, კიდევ უფრო ღრმად ჩაწვდეს ისტორიულ მოვლენებს, ფართოდ გაიაზროს წარსულში მომხდარი ფაქტები. საგნის შესწავლა დიდად შეუწყობს სტუდენტს დამოუკიდებელი აზროვნებისა და ანალიტიკური აზროვნების უნარის ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია ახალ და უახლეს პერიოდში
History of International Relations in Modern and Contemporary Period

კურსის მიზანია, სტუდენტები დაწვრილებით გაეცნონ XVI-XX საუკუნეების საერთაშორისო ურთიერთობებს. ამისათვის შესწავლილი იქნება უმნიშვნელოვანესი საზავო მოლაპარაკებებისა და სხვა საერთაშორისო ფორუმების მსვლელობა, საზავო ხელშეკრულებების პირობები, სხვადასხვა სახელმწიფოების დიპლომატიისათვის დამახასიათებელი ნიშნები, განსაკუთრებული დიპლომატიური ნიჭით დაჯილდოებული პიროვნებების მოღვაწეობა. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს სტუდენტებს, სრულყონ თავიანთი ცოდნა ახალი და უახლესი ისტორიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში.

დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის ისტორიოგრაფია

Historiography of Modern and Contemporary History of Western Europe and America

კურსის მიზანია, მაგისტრანტებმა მიიღონ სრულყოფილი ინფორმაცია ევროპა-ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის პრობლემების მეცნიერული შესწავლის თანამედროვე მდგომარეობაზე. ძირითადი აქცენტი გაკეთდება ფრანგულ, ბრიტანულ, გერმანულ, ამერიკულ, იტალიურ, რუსულ და პოლონურ ისტორიოგრაფია-ზე. საგანგებო ყურადღება დაეთმობა პირველი და მეორე მსოფლიო ომების ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობას.

რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ისტორიოგრაფია
Russian and East European Historiogragraphy

სასწავლო კურსის მიზანია გააცნოს სტუდენტებს ისტორიული მეცნიერების განვითარების ცალკეული ეტაპები რუსეთსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. ამ ქვეყნებში ისტორიულმა მეცნიერებამ განვითარების საინტერესო გზა გაიარა და თავისი წვლილი შეიტანა მსოფლიო ისტორიის განვითარებაში. საგნის გავლის შემდეგ სტუდენტს შეეძლება სხვადასხვა პერიოდისა და იდეურ საფუძვლებზე მდგომი ისტორიული მოსაზრებების შედარება, რაც უდავოდ დაეხმარება მას შემდგომ მუშაობაში.

თანამედროვე დასავლური ისტორიული მეცნიერება
Modern Western Historical Studies

კურსის მიზანია მისცეს მომავალ მაგისტრებს საფუძვლიანი და სრულყოფილი ცოდნა ისტორიის მეცნიერების რაობის და მისი თანამედროვე დისკურსის შესახებ, გააცნოს მათ ისტორიოგრაფიის მთავარი პარადიგმები და მიმდინარეობები, გაათვითცნობიეროს ისინი ისტორიის ძირითად თეორიულ, ეპისტემოლოგიურ და მეთოდოლოგიურ საკითხებში.

პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული პროცესები ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში (ახალი და უახლესი პერიოდი)
The Political, Social-Economic and Cultural Processes in the Near East (Modern and Contemporary Period)

ეს კურსი მიზნად ისახავს ბაკალავრიატში ზოგადი კურსის გავლის შემდეგ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების (ახალი და უახლესი პერიოდის) პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ისტორიის ცალკეული პრობლემების სამეცნიერო ანალიზს და სინთეზს, მიღებული ცოდნის გაღრმავებას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შესაბამისი წყაროების და სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებას და განხილვას.

საქართველოსა და ისლამური სამყაროს ურთიერთობა
The Relations between Georgia and the Islamic World

კურსი მიზნად ისახავს უჩვენოს საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა გარემომცველ ისლამურ სამყაროსთან. დიდი ყურადღება

დაეთმობაBAსაქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ურთიერთობის პოლიტიკურ-იდეოლოგიური და კულტურული ასპექტების შესწავლას; დისციპლინის სპეციფიკიდან გამომდინარე გათვალისწინებულია ისლამური ცნებების, ტერმინების, გადასახადების, სამოხელეო ინსტიტუტების განხილვა. ყურადღება ექცევა ისლამის ძირითად დოგმებს, ჯიჰადის დოქტრინას, საქართველოში ისლამის გავრცელების კერებს, იმ სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომელთაც შეხება ჰქონდათ საქართველოსთან. დასასრულ განხილული იქნება დამოუკიდებელი საქართველოს ურთიერთობა ისლამურ ქვეყნებთან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ – XX ს. მიწურულსა და XXI ს. დამდეგს.

ისლამური ფუნდამენტალიზმი
Islamic Fundamentalism

კურსის ფარგლებში მოხდება თანამედროვე მუსლიმურ სამყაროში მიმდინარე რელიგიური პროცესების, ფუნდამენტალიზმის ისტორიისა და განვითარების თავისებურებების შესწავლა; პოლიტიკაზე ისლამის ზეგავლენის ძირითადი ასპექტების შესწავლა და ისლამური ფუნდამენტალიზმის იდეოლოგების შეხედულებების ანალიზი; ისლამისტებისა და ისლამისტური ორგანიზაციების საქმიანობის შესწავლა თანამედროვე მუსლიმურ ქვეყნებში; ისლამური ექსტრემიზმის ძირითადი მიზეზების გაანალიზება; ანტიტერორისტულ კანონმდებლობის გაცნობა.

მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია
The Globalization of World Politics

კურსი აანალიზებს „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ მსოფლიო პოლიტიკაში გამოკვეთილ ტენდენციებსა და პრობლემებს. საგანგებო ყურადღება ეთმობა გლობალიზაციის პროცესს და მასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, როგორიცაა ეროვნული თუ კულტურული იდენტობა, სახელმწიფო სუვერენიტეტი, დემოკრატიული მმართველობის პრობლემა და სხვა. კურსის მიზანია საფუძვლიანად გაათვითცნობიეროს სტუდენტები ამ საკითხებსა და მათთან დაკავშირებულ მეცნიერულ დისკურსში.

შორეული აღმოსავლეთის ახალი ისტორია
The Modern History of the Far East

კურსის ფარგლებში მოხდება თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიცემა შორეულ აღმოსავლეთის რეგიონის სპეციფიკური ისტორიული განვითარების ზოგადი კანონზომიერებების შესახებ; აზიის დიდი სახელმწიფოების (ჩინეთი, იაპონია, ინდოეთი) ნიმუშზე უმთავრესი ისტორიული, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროცესების განხილვა-გაანალიზება საერთაშორისო ურთიერთობათა სპექტრში (ახალი ისტორიის შესაბამის ქრონოლოგიურ ჩარჩოში).

შორეული აღმოსავლეთის უახლესი ისტორია
The Contemporary History of the Far East

კურსი მიზნად ისახავს შორეული აღმოსავლეთის თანამედროვე ისტორიის საკვანძო

საკითხების მიმოხილვას და ანალიზს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. ყურადღება ფოკუსირებულია აზიის დიდი სახელმწიფოების (ჩინეთი, იაპონია, ინდოეთი) პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ პროცესებზე საერთაშორისო ურთიერთობების სპექტრში.

კულტურათა დიალოგი შორეულ აღმოსავლეთში
Dialogue of Cultures in the Far East

კურსის ფარგლებში მოხდება საბაზო თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიცემა შორეული აღმოსავლეთის ცივილიზაციისა და კულტურის განვითარების ზოგადი კანონზომიერებების შესახებ. ყურადღება ფოკუსირებულია ისეთ მდიდარი კულტურული ტრადიციების მქონე ქვეყნებზე (ჩინეთი, ინდოეთი, იაპონია და სხვ.), რომლებიც ეტალონებად იქცნენ მეზობელი ქვეყნების ისტორიული და კულტურული განვითარებისათვის. სტუდენტები გაეცნობიან შესასწავლი რეგიონის სულიერი სამყაროს ისეთ სფეროებს, როგორიცაა: სახვითი ხელოვნება, არქიტექტურა, თეატრი, ლიტერატურა, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, განათლება, მეცნიერება და სხვ.

შორეული აღმოსავლეთის ბუდისტური სამყარო
The Buddhist World of The Far East

კურსის მიზანია, სტუდენტებს გააცნოს უძველესი მსოფლიო რელიგია ბუდიზმი და ბუდისტური სამყარო; მისი არსი, წარმოშობის ისტორია, მთავარი მიმდინარეობები, გავრცელების არეალი და მნიშვნელობა მსოფლიო კულტურის საგანძურში. აზიის დიდი სახელმწიფოების (ინდოეთი, ჩინეთი, კორეა, იაპონია) ნიმუშზე განიხილება ბუდიზმის, როგორც ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრების სპეციფიკური ნიშან-თვისებები ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე, მოხდება მათი შედარებითი ანალიზი და მნიშვნელობის შეფასება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

იაპონური ენა 1
Japanese Language 1

კურსი მიზნად ისახავს ენის არმცოდნე მაგისტრანტებს შეასწავლოს იაპონური ენის საფუძვლები, გრამატიკის ძირითადი ნაწილი, რათა სტუდენტებს შეეძლოთ იაპონურად წერა და მარტივი საუბარი. კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტს ეცოდინება ორი ანბანი, ჰირაგანა და კატაკანა, 150 სიტყვა, ხშირად გამოყენებადი ფრაზები.

იაპონური ენა 2
Japanese Language 2

კურსი მიზნად ისახავს მაგისტრანტებს დაეხმაროს იაპონური ენის ცოდნის გაღრმავებაში. კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტს ეცოდინება 60 იეროგლიფი, 400-500 სიტყვა, ხშირად გამოყენებადი ფრაზები.

იაპონური ენა 3
Japanese Language 3

კურსი მიზნად ისახავს მაგისტრანტებს გაუღრმავოს იაპონური ენის, დამწერლობის, ენის ძირითადი თავისებურებების ცოდნა, რათა შემდეგ ცოდნა პრაქტიკაში გამოიყენონ. კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტს ეცოდინება 120 იეროგლიფი, 500-600 სიტყვა, ლექსიკონზე მუშაობა, ხშირად გამოყენებადი ფრაზები.

„ცივი ომი“ და საბჭოთა კავშირის დაშლა
The "Cold War" and the Collapse of the Soviet Union

კურსის მიზანია სტუდენტებს მიეცეს მთლიანი და სისტემური წარმოდგენა „ცივი ომის“ როლის შესახებ საბჭოთა იმპერიის დაშლის საქმეში, სტუდენტებისათვის „ცივი ომის“ წარმოშობის და განვითარების ძირითადი ეტაპების გაცნობა, იმ კატეგორიებისა და ცნებების გამოკვეთა, რომლებიც იძლევა მისი განვითარების თავისებურებების განსაზღვრების საშუალებას. „ცივი ომისა“ და მისი განვითარების შესწავლის საფუძველზე სტუდენტებისათვის იმ როლის ჩვენება, რომელიც მან ითამაშა სსრკ ეკონომიკური გამოფიტვისა და პოლიტიკურად დაშლის საქმეში, აგრეთვე ჩვენება იმ პროცესებისა, რომლებიც მიმდინარეობდა საბჭოთა იმპერიის შიგნით და რომლებმაც საფუძველი მოამზადეს მისი დაშლისათვის.

საერთაშორისო საჯარო სამართლის საფუძვლები
Fundamentals of International Public Law

სასწავლო კურსის მიზანია, სტუდენტს გააცნოს და შეასწავლოს საერთაშორისო (საჯარო) სამართლის არსი, სისტემა და მნიშვნელობა. საერთაშორისო სამართლის ჩამოყალიბების ისტორია და ის პირობები, რომლებმაც განაპირობა მისი, როგორც დარგის განვითარება. მისი წყაროების, ძირითადი პრინციპების, სუბიექტების და საერთაშორისო ხელშეკრულებების როლი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებისა და შიდასახელმწიფობრივი სამართლის განვითარებაში. საერთაშორისო სამართლისა და შიდასახელმწიფოებრივისამართლის თანაფარდობის საკითხები და სახელმწიფოს ნორმატიულ აქტებში საერთაშორისო ხელშეკრულებების იერარქიული ადგილი. საერთაშორისო სამართლის დარგების არსი და მნიშვნელობა. დიპლომატიური სამართლის როლი საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაში და მათი პრაქტიკაში გამოყენების მეთოდები და ხერხები.

მეორე მსოფლიო ომის ისტორია
History of the Second World War

კურსის მიზანია, სტუდენტები დაეუფლონ მეორე მსოფლიო ომის ისტორიას. ამისათვის შესწავლილი იქნება მეორე მსოფლიო ომის დაწყების მიზეზები, მისი მსვლელობა და შედეგები. ყურადღება გამახვილებული იქნება როგორც სამხედრო ასპექტებზე, ისე მეორე მსოფლიო ომის დროინდელ დიპლომატიურ ურთიერთობებზე.

საფრანგეთი რევოლუციისა და ნაპოლეონის ეპოქაში
France During the Revolution and Napoleon Age

კურსის მიზანია, სტუდენტები დაწვრილებით გაეცნონ მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთ

ყველაზე მნიშვნელოვან პერიოდს – საფრანგეთის დიდი რევოლუციისა და ნაპოლეონის ეპოქას. საფრანგეთის დიდი რევოლუცია ერთ-ერთი უდიდესი მოვლენა იყო მსოფლიო ისტორიაში და მან მთელი თაობებით წინ განსაზღვრა ევროპის განვითარების ბედი. ნაპოლეონ ბონაპარტის ფიგურა კი ყოველთვის უდიდეს ინტერესს იწვევდა მკვლევრებში. კურსი აგებული იქნება საფრანგეთის რევოლუციის ირგვლივ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურასა და ნაპოლეონის მრავალრიცხოვან ბიოგრაფიებზე.

ინგლისი XVII საუკუნეში
England in the 17th c.

კურსის ფარგლებში სტუდენტი გაეცნობა მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პერიოდს – ინგლისის ისტორიას XVII საუკუნეში. განსაკუთრებული ყურადღება იქნება დათმობილი ინგლისში შოტლანდიელი სტიუარტების დინასტიის გამეფებისათვის, სამოქალაქო ომებისათვის, ოლივერ კრომველის მოღვაწეობისათვის, სტიუარტების რესტავრაციისა და „სახელოვანი რევოლუციისათვის“.

საფრანგეთი XVII საუკუნეში
France in the 17th c.

კურსის ფარგლებში სტუდენტი გაეცნობა მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პერიოდს – საფრანგეთის ისტორიას XVII საუკუნეში. განსაკუთრებული ყურადღება იქნება დათმობილი ანრი IV-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკისათვის, კარდინალ რიშელიეს მოღვაწეობისათვის, ლუი XIV-ის საფრანგეთისათვის.

დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეებისა და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში
Study of Medieval and Modern History of Western Europe in Georgia

კურსი წმინდა ისტორიოგრაფიული ხასიათისაა. მასში განხილულია ის ტრადიცია, რომელიც საქართველოში არსებობდა დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლის სფეროში. თემა არის აქტუალური და საინტერესო. კურსის მიზანს და მთავარ ამოცანას წარმოადგენს ღრმად და საფუძვლიანად გააცნოს ქართველ სტუდენტებს ის ტრადიცია, რომელიც გვქონდა საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლის სფეროში და აჩვენოს ჭეშმარიტი მკვლევარი ისტორიკოსის ბედი ტოტალიტარულ სახელმწიფოში, როდესაც ხელისუფლება აშკარად, უხეში ადმინისტრაციული წესით ერევა მეცნიერებაში.

რეფორმები თუ რევოლუცია: დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და აშშ-ს მაგალითზე
Reforms or Revolutions: On the Example of Western European Countries and the USA

აღნიშნული სასწავლო კურსი მიზნად ისახავს კიდევ უფრო გააღრმავოს ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალ ისტორიაში სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნა. შესწავლილი იქნება ფრიად აქტუალური და საინტერესო თემა: ტრადიციული საზოგადოებიდან ინდუსტრიულ საზოგადოებაზე გადასვლის გზები. ერთგან ეს ხორციელდებოდა ევოლუციური გზით, ზემოდან რეფორმების საშუალებით, ხოლო მეორეგან კი _ რევო-ლუციის გზით. რეფორმები და რევოლუცია ერთმანეთზე ზემოქმედებენ. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს სტუდენტს, სრულყოს თავისი ცოდნა ახალ და უახლეს ისტორიაში.

პირველი მსოფლიო ომის ისტორია
History of the First World War

კურსის მიზანია, სტუდენტები დაეუფლონ პირველი მსოფლიო ომის ისტორიას. ამისათვის შესწავლილი იქნება პირველი მსოფლიო ომის დაწყების მიზეზები, მისი მსვლელობა და შედეგები. ყურადღება გამახვილებული იქნება როგორც სამხედრო ასპექტებზე, ისე პირველი მსოფლიო ომის დროინდელ დიპლომატიურ ურთიერთობებზე.

ევროპა XVI საუკუნეში
Europe in 16th Century

სალექციო კურსი მომზადებულია ისტორიის მიმართულების მაგისტრანტებისათვის. XVI საუკუნე, რომელსაც ისტორიკოსები შუა საუკუნეებიდან ახალ ეპოქაზე გარდამავალ საუკუნეს უწოდებენ, აღსავსეა ისეთი ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული სიახლეებით, რომლებმაც მყარი საფუძველი ჩაუყარეს ახალ ეპოქას, ახალ ისტორიას. ამ კურსის შესწავლით, ისტორიკოსი მაგისტრანტი, მომავალი სპეციალისტი ადვილად შესძლებს გაერკვეს და დამოუკიდებელი დასკვნები გააკეთოს როგორც მომდევნო ხანის, ისე თანამედროვე მოვლენებიდან.

სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის პირველ ნახევარში და ევროპული პოლიტიკა
South-Eastern European Countries at the End of the 19th Century and First Half of the 20th Century and European Politics

შემოთავაზებული სალექციო კურსი მიზნად ისახავს არა მარტო სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ღრმად გაცნობას სტუდენტებისათვის, არამედ მის საფუძვლიან განხილვას იმ პერიოდის მსოფლიოში მიმდინარე უმნიშვნელოვანეს მოვლენებთან ურთიერთკავშირში, რაც უნდა შესძლონ არა ზედაპირულად და მხოლოდ დღევანდელი გადასახედიდან, არამედ იმ პერიოდის მსოფლიოში არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების გათვალისწინების ფონზე. მით უმეტეს, რომ წარმოდგენილი რეგიონი ისევე როგორც ადრე, ამჟამადაც ერთ-ერთ კრიზისულ კვანძად იქცა ევროპის და ზოგადად მსოფლიოს საერთაშორისო ურთიერთობებში.

ქალი XX საუკუნის მსოფლიო ისტორიაში
Women in the 20th Century World History

კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს ფემინისტური იდეების გავლენა საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკაზე; ქალების სტატუსი ცალკეული ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში – შედარებითი ანალიზი; ქალი და არჩევნები; ქალები - სახელმწიფოთა ლიდერები; პირველი ქალბატონების როლი პოლიტიკურ ცხოვრებაში; პეკინის 1995 წლის კონფერენციის გადაწყვეტილებები და ქალთა ორგანიზაციების საქმიანობა; კულტურული მრავალფეროვნება და გლობალური ფემინისტური ხედვა. კურსის პირველ ნაწილში განხილულია, თუ რა გევლენის მოხდენა შეუძლიათ ქალებს საერთაშორისო ურთიერთობებსა და საშინაო პოლიტიკაზე; მეორე ნაწილში კი

შედარებითი ანალიზის საფუძველზე შეისწავლება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ქალების სტატუსი.

ტოტალიტარული რეჟიმები XX საუკუნეში
Totalitarian Regimes in the 20th Century

კურსის მიზანია გააცნოს სტუდენტებს ევროპული ტოტალიტარული რეჟიმების არსი და მოქმედების მექანიზმი, ახსნას მათი აღმოცენების მიზეზები, გასაგები გახადოს ამ ფენომენის გავლენა დასავლურ ცივილიზაციაზე, მათ შორის მსოფლმხედველური ცვლილებები (მოდერნი – პოსტმოდერნი).

რუსეთის უახლესი ისტორია (1945-2006 წლები)
The Contemporary History of Russia (1945-2006)

კურსი მიზნად ისახავს, სტუდენტს შეასწავლოს რუსეთის თანამედროვე ისტორია (პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული პრობლემები), ასევე გააცნოს ამ პრობლემების ირგვლივ არსებული უახლესი ლიტერატურა და ამ მასალაზე მუშაობის წესებს. საგნის გავლის შემდეგ სტუდენტს შეეძლება სხვადასხვა პერიოდისა და იდეურ საფუძვლებზე მდგომი ისტორიული მოსაზრებების შედარება.

გერმანია 1871-1945 წლებში
Germany in 1871-1945

სასწავლო კურსი მიზნად ისახავს სტუდენტის გათვითცნობიერებას თანამედროვე ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოს _ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის _ შედარებით ახლო ისტორიული წარსულის, კერძოდ, XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის პირველი ნახევრის ისტორიაში. ისინი ვრცლად გაეცნობიან გერმანიის ისტორიის უაღრესად საინტერესო და ამავე დროს ურთულეს ხანას, რომლის დროსაც განვითარებულმა პროცესებმა თავისებური გავლენა მოახდინა არა მარტო გერმანელი ხალხის და მისი ისტორიის, არამედ იმდროინდელი მსოფლიოს ბედზეც. კაიზერის გერმანიის, ვაიმარის რესპუბლიკისა და ნაცისტური მესამე რაიხის წარმოქმნისა და განვითარების დაწვრილებით შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე სტუდენტებს მიეცემათ შესაძლებლობა, გაერკვნენ, თუ როგორ და რა პროცესებმა განაპირობა ამ მოვლენების წარმოქმნა და გააქტიურება. აგრეთვე, დააკვირდნენ იმ რთულ ინტრიგებს, რომელსაც მიმართავდნენ გერმანიის სამხედრო და პოლიტიკური წრეები ორი მსოფლიო ომის პერიოდში, რაც დამღუპველად აისახა უპირველესად გერმანელი ხალხის ბედზე, განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს ასევე ვაიმარის რესპუბლიკის ხანა, როცა ომში დამარცხებულ, კატასტროფის პირზე მდგარ ქვეყანას სჭირდებოდა მოქნილი დიპლომატია.

ისლამი და გენდერი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში
Islam and Gender in the Near East

კურსი მიზნად ისახავს სქესისა და რელიგიის ურთიერთმიმართების ძირითადი ასპექტების განხილვას ყურანსა და მუსლიმური სამართლის სხვა წყაროებზე დაყრდნობით. მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა ფემინისტურ მოძრაობის ისტორიას

მუსლიმურ სამყაროში. ყურადღება გამახვილდება სქესისა და რელიგიის ნიშნით უთანასწორობასა და დისკრიმინაციაზე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების საკანონმდებლო აქტების შესაბამისად. ისტორიულ კონტექსტში შეისწავლება ქალისა და ხელისუფლების ურთიერთმიმართების საკითხები, ქალის უფლებები, სქესის ნიშნის მიხედვით დისკრიმინაციის კონკრეტული გამოვლინებები ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში.

ნავთობი, წყალი და პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში /რეგიონალური და გლობალური კონტექსტი/
Oil,Water and Politics in the Near East (Regional and Global Context)

კურსის ფარგლებში ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ნავთობი განხილული იქნება, როგორც მსოფლიო ეკონომიკისა და პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. ყურადღება გამახვილდება სტატისტიკურ მონაცემებზე ახლო აღმოსავლეთში ნავთობის მარაგის, მოპოვების, საექსპორტო შემოსავლების და თვითღირებულების შესახებ. მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა მეტოქეობას რეგიონში ნავთობის კონტროლისათვის, სანავთობო ინტერესების გავლენას რეგიონის და მსოფლიო პოლიტიკურ გეოგრაფიაზე. ახლო აღმოსავლეთში წყალი, ნავთობის გვერდით, არანაკლები გეოპოლიტიკური მნიშვნელობის მქონე რესურსია. ამდენად განხილული იქნება წყლის რესურსები, როგორც ახლო აღმოსავლეთში მკვეთრი დაპირისპირების ობიექტი, კონფლიქტების დაფარული ან აშკარა მიზეზი.

რელიგია და პოლიტიკა თანამედროვე არაბულ სამყაროში
Religion and Politics in the Contemporary Arab World

საგანი მიზნად ისახავს რელიგიური ფაქტორის როლის შესწავლას თანამედროვე არაბულ სამყაროში; რელიგიის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ფუნქციების შესწავლას; თანამედროვე არაბულ სამყაროში მიმდინარე რელიგიური პროცესების განვითარების თავისებურებათა შესწავლას.

მამლუქები და საქართველო
The Mamelukes and Georgia

კურსის მიზნია განიხილოს ისლამურ სამყაროში მონათა (მამლუქთა, ღულამთა) სამხედრო შენაერთების წარმოქმნის დრო, პირობები, მიზეზები და მნიშვნელობა ახლო აღმოსავლეთში (აბასიანთა სახალიფო, თურქული პოლიტიკური ერთეულები, აიუბიანთა სახელმწიფო); ბაჰრელ (1250-1382) და ბურჯელ (1382-1517) მამლუქთა სახელმწიფოების წარმოქმნა და მათი კავშირები საქართველოსთან; წმინდა მიწა საქართველოსა და მამლუქთა სახელმწიფოების ურთიერთობებში; ქართველი მამლუქები ეგვიპტეში XVI-XVIII სს-ში და მათი ურთიერთობა საქართველოსთან; ერაყის ქართველი გამგებლები და მათი ურთიერთობა საქართველოსთან; ქართველი მამლუქები სხვა არაბულ ქვეყნებში ოსმალთა ბატონობის დროს.

შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიკა
Economics of the Far Eastern Countries

კურსის მიზანია, სტუდენტებს გააცნოს შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების სამეურნეო ცხოვრების ის ელემენტები, რომლებიც კონკრეტულ ისტორიულ პირობებში ჩამოყალიბდა და ვითარდება; წინა პლანზე წამოიწიოს იაპონიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მითად ქცეული ფენომენური შედეგები; იაპონიის განვითარების მოდელზე დაყრდნობით სტუდენტებს უჩვენოს თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის კანონზომიერებანი, აზიაროს იაპონიის ეკონომიკური განვითარების მდიდარ გამოცდილებას; გაანალიზოს და განაზოგადოს ჩინეთის ეროვნული მეურნეობის მაკროეკონომიკური მოდელი – პარალელი გაავლოს საქართველოსა და ჩინეთის ეკონომიკურ განვითარებას შორის, განისაზღვროს მისი გავლენა ახალი ეკონომიკური სისტემის ფორმირებაზე და უჩვენოს მსოფლიო ეკონომიკაში იაპონია-ჩინეთის სამეურნეო განვითარების როლი. სათანადო ადგილი დაეთმოს სამხრეთ კორეის, ასევე მალაიზიის და სინგაპურის ეკონომიკური განვითარებების თავისებურებებს.

იაპონური კულტურა
Japanese Culture

სასწავლო კურსის მიზანია გააცნოს სტუდენტებს იაპონიის თვითმყოფადი და ეგზოტიკური კულტურა. ქრონოლოგიური თანამიმდევრობით განიხილება იაპონური კულტურის განვითარების ეტაპები, სპეციფიკური ნიშან-თვისებები და ძირითადი მიმართულებები. სტუდენტები შეისწავლიან იაპონელთა სულიერი სამყაროს ისეთ სფეროებს, როგორიცაა: ძველი ტრადიციები და ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, ხუროთმოძღვრება, თეატრი, ლიტერატურა, საყოფაცხოვრებო კულტურა და სხვა.

შორეული აღმოსავლეთის რელიგიები
Far Eastern Religions

კურსის ფარგლებში მოხდება შორეულ აღმოსავლეთში გავრცელებული რელიგიების შესწავლა. კონკრეტული ქვეყნების (ჩინეთი, ინდოეთი, იაპონია) მიხედვით განიხილება ძირითადი ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრებები, როგორიცაა: ბუდიზმი, ვედიზმი, ჯაინიზმი, ბრაჰმანიზმი, ინდუიზმი, კონფუციონიზმი, დაოსიზმი, ლეგიზმი, შინტოიზმი; ასევე, რელიგიური დღესასწაულები, რელიგიათა მიმართება ფილოსოფიასთან, კულტურის სხვადასხვა სფეროებთან, სახელმწიფო იდეოლოგიასთან. სათანადო ყურადღება დაეთმობა ქრისტიანობისა და ისლამის გავრცელებას შესასწავლ რეგიონში და მათ ურთიერთობას ადგილობრივ რელიგიებთან.

თანამედროვე ინდოეთის ჩამოყალიბება (ინგლისურენოვანი კურსი)
The Making of Modern India (in English)

The progress achieved by India in the stabilizing of the Multicultural societal format, incredible Economic growth and widely spread Democratic institutions has been recognized world over. The history of how India reached to this stage of development has not been devoid of challenges and responses. Sharing with the world this experience at a time when the world has become a global village is historically inevitable. It is with this aim in view that a course on Making of Modern India is offered to begin the interaction with variety of Students, Faculty

and other members of Georgian Society who have shown keen interest in India's history, Culture, polity, art forms and other varied interesting aspects.

რუსეთის დიპლომატია XIX-XX საუკუნეებში
The Russian Diplomacy in 19th-20th Centuries

სალექციო კურსის მიზანია ჩამოუყალიბოს სტუდენტს შესაბამის პერიოდში ზოგადად საერთაშორისო ურთიერთობების, ამ ურთიერთობების ჩამოყალიბების ლოგიკური საფუძვლების და, უფრო კონკრეტულად, რუსეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ წარმოდგენა.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ისტორია და თანამედროვეობა
History and the Present of the Georgian-Russian Relations

კურსი მიზნად ისახავს, სტუდენტს შეასწავლოს როგორც საქართველოსა და რუსეთს შორის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობების ისტორია (პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული), ასევე გააცნოს ამ პრობლემების ირგვლივ გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი საარქივო მასალა და ამ მასალაზე მუშაობის წესებს.

ტერორიზმი ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ში
Terrorism in the European Countries and in the USA

კურსის მიზანია უზრუნველყოს ისტორიის სპეციალობის მაგისტრატურის სტუდენტების მიერ თანამედროვეობის ისეთი აქტუალური პრობლემის გაცნობა-გააზრება, როგორიც არის ტერორიზმი და მისი გამოვლინება დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ში, ასევე აღნიშნული სახელმწიფოებისა და მთელი მსოფლიო თანამეგობრობის ბრძოლის მნიშვნელობა მის წინააღმდეგ და მასთან დაკავშირებული ცვლილებები საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში. შესაბამისად, საქართველოს წვლილი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და მისი ადგილი შეცვლილ საერთაშორისო გარემოში.

საერთაშორისო ორგანიზაციები
International Organizations

სასწავლო კურსი მიზნად ისახავს სტუდენტის გათვითცნობიერებას მსოფლიოში საერთაშორისო ურთიერთობების დარეგულირების რთულ და საინტერესო გზების ძიების პროცესებში. XX ს-ის მანძილზე საფუძველი ჩაეყარა უამრავ სხვადასხვა სახის საერთაშორისო და სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციას, რომელთა საბოლოო მიზანი ემსახურება ერებს შორის მშვიდობიანობის და ცივილური ურთიერთობების დამყარების და შემდგომი განვითარების პერსპექტივებს. სწორედ ამ ორგანიზაციების ჩამოყალიბების ისტორიის, მიზნების და საქმიანობის სტუდენტებისათვის გაცნობას და შესწავლას ემსახურება წარმოდგენილი კურსი.

ლათინური ამერიკა საერთაშორისო ურთიერთობებში
Latin America in International Relations

კურსის მიზანია სტუდენტებს მიეცეს მთლიანი და სისტემური წარმოდგენა ლათინური ამერიკის ქვეყნების როლის შესახებ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში. ამასთანავე განხილულ იქნება რეგიონის ქვეყანათაშორის ურთიერთობები. კურსის ფარგლებში მოხდება სტუდენტებისათვის რეგიონში და რეგიონის ირგვლივ არსებული საერთაშორისო ურთიერთობების გაცნობა. საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი ეტაპების და მათსი ლათინური ამერიკის ქვეყნების როლის დახასიათება. იმ კატეგორიებისა და ცნებების გამოკვეთა, რომლებიც იძლევიან მისი განვითარების თავისებურებების განსაზღვრების საშუალებას. ლათინური ამერიკის ქვეყნების საერთაშორისო ურთიერთობებში როლის შესწავლის საფუძველზე სტუდენტებისათვის როგორც რეგიონის ზოგადი პრობლემების, ისე მათი გამოვლენის თავისებურებების გაცნობა.

რომის პაპების დიპლომატია ახალ და უახლეს პერიოდში
Diplomacy of the Popes in the Modern and Contemporary Period

კურსის მიზანია, სტუდენტები დაწვრილებით გაეცნონ რომის პაპების დიპლომატიას ახალ და უახლეს პერიოდში. რომის პაპების პოლიტიკა აღნიშნულ პერიოდში მრავალჯერ შეიცვალა და დიდ ინტერესს წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის მკვლევართათვის. ამ პერიოდის მანძილზე მათ განიცადეს როგორც დაკნინება, ისე აღზევება. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება რომის პაპე-ბის დიპლომატიაზე XX საუკუნეში.

სასულიერო და რაინდული ორდენები და მათი როლი მსოფლიო პოლიტიკაში
Religious and Military Orders and Their Place in the World Politics

კურსის მიზანია, სტუდენტები დაწვრილებით გაეცნონ სასულიერო და რაინდული ორდენების მოღვაწეობას მსოფლიო პოლიტიკაში. მიუხედავად იმისა, რომ, ერთი შეხედვით, დღესდღეობით მათი გავლენა თითქოს არც ისე დიდია, აღნიშნული ორდენები მაინც თამაშობენ გარკვეულ როლს დღევანდელ საერთაშორისო ურთიერთობებში. აღნიშნული ორდენების დაარსების ისტორიასთან ერთად, ძირითადი აქცენტი გაკეთდება სწორედ მათ საქმიანობაზე ახალი და უახლესი დროის პერიოდში.

დაზვერვის ისტორია
History of Intelligence

კურსის მიზანია სტუდენტებს მიეცეს მთლიანი და სისტემური წარმოდგენა დაზვერვისა და სპეცსამსახურების როლის შესახებ ისტორიულ განვითარებაში უძველესი დროიდან დღემდე; სტუდენტებისათვის დაზვერვისა და სპეცსამსახურების განვითრების ისტორიის ძირითადი ეტაპების გაცნობა, იმ კატეგორიებისა და ცნებების გამოკვეთა, რომლებიც იძლევა მისი განვითარების თავისებურებების განსაზღვრების საშუალებას. დაზვერვისა და სპეცსამსახურების ისტორიის შესწავლის საფუძველზე სტუდენტებისათვის როგორც ამ სფეროს ზოგადი პრობლემების, ისე მსოფლიო ისტორიის მსვლელობაში მათი საქმიანობისა და როლის გამოვლენის თავისებურებების გაცნობა.

საქართველოს საკითხი საერთაშორისო ურთიერთობებში 1918-1933 წლებში
The Georgian Question in International Relations in 1918-1933

კურსი მიზნად ისახავს საქართველოს დამოუკიდებლობის საკვანძო საკითხების მიმოხილვას და ანალიზს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით საერთაშორისო ურთიერთობებში. ყურადღება ფოკუსირებულია ევროპული პოლიტიკისადმი საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარების თვალსაზრისით.

დიპლომატიური პროტოკოლი
The Diplomatic Protocol

სასწავლო კურსი მიზნად ისახავს სტუდენტის გათვითცნობიერებას მსოფლიოში მიღებული გარკვეული დიპლომატიური ცერემონიალების და პროტოკოლით განსაზღვრული ქცევებისა და ნორმების წესებში. ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებისთვის არ არის საკმარისი მხოლოდ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების დაცვა. საქართველოს საერთაშორისო სამართლის სუბიექტად აღიარებამ, საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანებამ, ქვეყანაში საზღვარგარეთის სახელმწიფოების დიპლომატიური, საერთაშორისო ორგანიზაციების და ბიზნეს წარმომადგენლობე-ბის გახსნამ მკვეთრად შეცვალა ვითარება. შემოთავაზებული კურსის მიზანია სტუდენტს შეასწავლოს როგორ გახდეს თავდაჯერებული საზოგადოებაში, გადალახოს მრავალი საყოყმანო მომენტი, იყოს ინიციატორი თუნდაც ისეთი, ერთი შეხედვით მარტივი საკითხების მოწესრიგებისა, როგორიცაა საუბრის წარმართვა, შესაბამისად ჩაცმა და სხვ. კურსის მიზანია სტუდენტს ასევე გააცნოს ზოგადად დიპლომატიის არსი და მნიშვნელობა.. ასევე გაარკვიოს, რა მიზნით ეწყობა დიპლომატიური ცერემონიალი – როგორც გარკვეული ფორმალობების მკაცრი დაცვა. ასევე გათვითცნობიერდეს პროტოკოლის, როგორც იერარქიული წესრიგის ფორმის მნიშვნელობაში, ასევე დაეხმაროს სტუდენტს კარგი მანერების ათვისებაში.

სხვა სამაგისტრო პროგრამებიდან აღებული კურსების ანოტაციები იხ. შესაბამისი სამაგისტრო პროგრამების კურსების კატალოგში